პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 230 (10624) | სამშაბათი, 2 ოქტომბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ჩინეთი სოციალიზმის ნათელ გზაზე

დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მეშვიდე წლისთავია. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ჩინელ ხალხთან ერთად აღნიშნავენ მთელი დიდი სოციალისტური თანამეგობრობის ხალხები, ყველა ქვეყნის მშრომელები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ვოროშილოვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ბულგანინისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დ. შეპილოვის მისალმებაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ამხანაგ მაო ძე-დუნის, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ლიუ შაო-ცის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგ ჯოუ ენ-ლაისადმი ნათქვამია:

ჩინეთის რევოლუციის გამარჯვებამ, რომელიც მოკოკავებულია ჩინელი ხალხის გმირული ღონისძიებებით სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ახალი ერა გახსნა ჩინეთის ისტორიაში. ეს ერა ნიშნავს ჩინეთის ხალხებისა და ეროვნებათა ბედნიერ ერთიანობას, ეს ერა ნიშნავს ჩინეთის ბოლოს მოღებას ბატონ-პატრონობასა და ექსპლუატაციას, ეს ერა ნიშნავს ჩინეთის ბოლოს მოღებას ბოროტებასა და ანარქიას, ეს ერა ნიშნავს ჩინეთის ბოლოს მოღებას ბინძურ ფეოდალურ ბატონ-ყმობასა და ეს ერა ნიშნავს ჩინეთის ბოლოს მოღებას ბინძურ ბატონ-ყმურ ურთიერთობებს.

გაღაჭრით აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი და შეცდომები ახალგაზრდობის იდეური აღზრდის საქმეში

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

შედგა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მოხსენება „კომკავშირელთა და ახალგაზრდობის იდეური აღზრდის ხაზით საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაობაზე დიდი ნაკლოვანებებისა და შეცდომების შესახებ“ გააკეთა ხაქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. თ. ჯანელიძემ.

პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სტალინის პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული გადამწყვეტი ღონისძიებანი. მომხსენებელი და სიტყვებით გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ პიროვნების კულტისა და მისი მავნე შედეგების წინააღმდეგ ბრძოლა, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების აღდგენა და განმტკიცება ხელს უწყობს კომუნისტებისა და კომკავშირელების, ყველა მშრომელის შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის შემდგომ ზრდას, მათი როლის ამაღლებას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

საქართველოს საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, მეექვსე ხუთწლედის დავალებათა ღირსეულად განხორციელებისათვის. წლის პირველ ნახევარში სამრეწველო წარმოების გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 104 პროცენტით. განხორციელებულია სერიოზული ღონისძიებანი მეჩაიეობის, მევენახეობის, მეცხოველეობის და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მკვეთრი აღმავლობისათვის. მრავალი წლის მანძილზე პირველად შესრულდა გადაჭარბებით წველადობის სახელმწიფო დავალებანი, გაიზარდა სიმინდის მოსავლიანობა.

შრომითის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს რესპუბლიკის ახალგაზრდობა. ასობით ჭაბუკი და ქალიშვილი დროს წინ უსწრებს და 1957-1960 წლების ბრიგადაში მუშაობს. სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის იბრძვის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და მტს-ებში მომუშავე 80 ათასი კომკავშირელი.

საქართველოს ორი ათასზე მეტი ახალგაზრდა სამშობლოს მოწოდებით გაემგზავრა წელს ყაზახეთში, რათა ყამირი მიწების ათვისებლებს დახმარებოდა უხვი მოსავლის აღებაში.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, ეს წარმატებანი გაცილებით მეტი იქნებოდა, კომკავშირელთა და ახალგაზრდობის იდეური აღზრდის ხაზით მუშაობაში დიდი ნაკლოვანებანი და შეცდომები რომ არ ყოფილიყო. საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში, რესპუბლიკის კომკავშირის მეერ კომიტეტში დამკვიდრდა ახალგაზრდობაში იდეოლოგიური მუშაობის შეუფასებლობა. თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში ისინი არ ითვალისწინებდნენ იმ გარემოებას, რომ საქართველოში მრავალი წლის მანძილზე პარპაშობდნენ საერთაშორისო იმპერიალიზმის პირწავარდნილი აგენტი ბერია და მისი დამჭაბები. ბერიევშინის შედეგად, რომელიც შეიძლებოდა აღმოცენებულიყო და განვითარებულიყო მხოლოდ პიროვნების კულტის ვითარებაში, ნაციონალისტური ელემენტები ცდილობდნენ ქართველი ახალგაზრდობისათვის ჩაენერგათ ერთგული განსაკუთრებულობის გრძნობა, მოექციათ იგი ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებში. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი მკვეთრად და თანმიმდევრულად არ ილაშქრებდა ახალგაზრდობაზე გამხრწნელი ნაციონალისტური გავლენის წინააღმდეგ, არადამაკმაყოფილებლად ახორციელებდა იდეოლოგიური მუშაობისადმი ხელმძღვანელობას, ცუდად მუშაობდა ახალგაზრდობის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდისათვის.

უკანასკნელი წლების განმავლობაში პარტიას არაერთხელ მიუთითებია ნარკვეში-ლენინიზმისათვის უცხო პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საჭიროებაზე. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს არ გაუკეთებიათ თავიანთვის სათანადო პოლიტიკური და პრაქტიკული დასკვნები. საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ჯეროვნად არ შეაფასა ის ფაქტი, რომ სტალინის პიროვნების კულტმა ღრმად გადდგა ფესვები ახალგაზრდობის შეგნებაში, რომ რეპუბლიკაში მან მიიღო განსაკუთრებით გადაჭარბებული მასშტაბი და ნაციონალისტური ელფერი. ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა, მათ შორის კომკავშელებმაც, არ იცოან, თუ რა დიდი ზიანი მიაყენა სტალინის პიროვნების კულტმა საბჭოთა ხალხს, კერძოდ საქართველოს მშრომელებს.

პლენუმზე გამოსულმა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვ. კაჭარავამ სწორად ცნო კრიტიკა კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მიმართ.

— ახალგაზრდობის იდეური აღზრდის ხაზით საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაობის ნაკლოვანებანი და შეცდომები, — თქვა ამხ. კაჭარავამ, — დამახასიათებელია კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტისთვისაც. ქალაქში ჯერ კიდევ არიან ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებიც დაბრმავებული არიან სტალინის პიროვნების კულტით. კომკავშირული ორგანიზაციები ჯეროვან პრინციპულობას არ იჩენენ მუშაობაში, ცუდად ეხმარებიან ახალგაზრდობას შეიგნოს პიროვნების კულტის მავნეობა.

ამასთან დაკავშირებით ამხ. კაჭარავა აკრიტიკებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის, თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის კომკავშირის კომიტეტებს, კომკავშირის ორჯონიკიძის რაიონულ კომიტეტს. იგი ეხება აგრეთვე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, მისი პროპაგანდისა და აგიტაციის, სკოლებისა და სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილებათა მუშაობას, რომლებიც მოწყვეტილი არიან მასებს, არ ეხმარებიან კომკავშირულ ორგანიზაციებს ახალგაზრდობის იდეურ აღზრდაში.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები, როგორც აღნიშნავდნენ პლენუმზე, ცუდად უნერგავენ ახალგაზრდობას საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობას, შრომისადმი სიყვარულს, ურიგდებიან იმას, რომ ცალკეული ჭაბუკები და ქალიშვილები არ მონაწილეობენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, ხოლო ზოგიერთი მათგანი ეწევა პარაზიტულ ცხოვრებას, სპეკულაციას, სხვადასხვა მაქინაციებს და სხვა საეჭვო საქმეებს. ზუგდიდის, ხაშურის, სიგნაღოს, გორეუბნის, სამტრედიის, თეთრი წყაროს, ზესტაფონისა და სხვა რაიონებში ბევრი ახალგაზრდა უსაქმოდ დადის, თავს არიდებს საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში, მეცხოველეობაში მუშაობას. ძირითადი მასა რესპუბლიკის ახალგაზრდობისა, რომელიც თავდადებით და პატიოსნად შრომობს სამშობლოს საკეთილდღეოდ, საკმაო ზეგავლენას ვერ ახდენს უსაქმურებსა და მუქთახორებზე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მოხსენება „კომკავშირელთა და ახალგაზრდობის იდეური აღზრდის ხაზით საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაობაზე დიდი ნაკლოვანებებისა და შეცდომების შესახებ“ გააკეთა ხაქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. თ. ჯანელიძემ.

პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სტალინის პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული გადამწყვეტი ღონისძიებანი. მომხსენებელი და სიტყვებით გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ პიროვნების კულტისა და მისი მავნე შედეგების წინააღმდეგ ბრძოლა, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების აღდგენა და განმტკიცება ხელს უწყობს კომუნისტებისა და კომკავშირელების, ყველა მშრომელის შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის შემდგომ ზრდას, მათი როლის ამაღლებას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

საქართველოს საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, მეექვსე ხუთწლედის დავალებათა ღირსეულად განხორციელებისათვის. წლის პირველ ნახევარში სამრეწველო წარმოების გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 104 პროცენტით. განხორციელებულია სერიოზული ღონისძიებანი მეჩაიეობის, მევენახეობის, მეცხოველეობის და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მკვეთრი აღმავლობისათვის. მრავალი წლის მანძილზე პირველად შესრულდა გადაჭარბებით წველადობის სახელმწიფო დავალებანი, გაიზარდა სიმინდის მოსავლიანობა.

შრომითის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს რესპუბლიკის ახალგაზრდობა. ასობით ჭაბუკი და ქალიშვილი დროს წინ უსწრებს და 1957-1960 წლების ბრიგადაში მუშაობს. სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის იბრძვის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და მტს-ებში მომუშავე 80 ათასი კომკავშირელი.

საქართველოს ორი ათასზე მეტი ახალგაზრდა სამშობლოს მოწოდებით გაემგზავრა წელს ყაზახეთში, რათა ყამირი მიწების ათვისებლებს დახმარებოდა უხვი მოსავლის აღებაში.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, ეს წარმატებანი გაცილებით მეტი იქნებოდა, კომკავშირელთა და ახალგაზრდობის იდეური აღზრდის ხაზით მუშაობაში დიდი ნაკლოვანებანი და შეცდომები რომ არ ყოფილიყო. საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში, რესპუბლიკის კომკავშირის მეერ კომიტეტში დამკვიდრდა ახალგაზრდობაში იდეოლოგიური მუშაობის შეუფასებლობა. თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში ისინი არ ითვალისწინებდნენ იმ გარემოებას, რომ საქართველოში მრავალი წლის მანძილზე პარპაშობდნენ საერთაშორისო იმპერიალიზმის პირწავარდნილი აგენტი ბერია და მისი დამჭაბები. ბერიევშინის შედეგად, რომელიც შეიძლებოდა აღმოცენებულიყო და განვითარებულიყო მხოლოდ პიროვნების კულტის ვითარებაში, ნაციონალისტური ელემენტები ცდილობდნენ ქართველი ახალგაზრდობისათვის ჩაენერგათ ერთგული განსაკუთრებულობის გრძნობა, მოექციათ იგი ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებში. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი მკვეთრად და თანმიმდევრულად არ ილაშქრებდა ახალგაზრდობაზე გამხრწნელი ნაციონალისტური გავლენის წინააღმდეგ, არადამაკმაყოფილებლად ახორციელებდა იდეოლოგიური მუშაობისადმი ხელმძღვანელობას, ცუდად მუშაობდა ახალგაზრდობის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდისათვის.

უკანასკნელი წლების განმავლობაში პარტიას არაერთხელ მიუთითებია ნარკვეში-ლენინიზმისათვის უცხო პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საჭიროებაზე. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს არ გაუკეთებიათ თავიანთვის სათანადო პოლიტიკური და პრაქტიკული დასკვნები. საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ჯეროვნად არ შეაფასა ის ფაქტი, რომ სტალინის პიროვნების კულტმა ღრმად გადდგა ფესვები ახალგაზრდობის შეგნებაში, რომ რეპუბლიკაში მან მიიღო განსაკუთრებით გადაჭარბებული მასშტაბი და ნაციონალისტური ელფერი. ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა, მათ შორის კომკავშელებმაც, არ იცოან, თუ რა დიდი ზიანი მიაყენა სტალინის პიროვნების კულტმა საბჭოთა ხალხს, კერძოდ საქართველოს მშრომელებს.

პლენუმზე გამოსულმა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვ. კაჭარავამ სწორად ცნო კრიტიკა კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მიმართ.

— ახალგაზრდობის იდეური აღზრდის ხაზით საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაობის ნაკლოვანებანი და შეცდომები, — თქვა ამხ. კაჭარავამ, — დამახასიათებელია კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტისთვისაც. ქალაქში ჯერ კიდევ არიან ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებიც დაბრმავებული არიან სტალინის პიროვნების კულტით. კომკავშირული ორგანიზაციები ჯეროვან პრინციპულობას არ იჩენენ მუშაობაში, ცუდად ეხმარებიან ახალგაზრდობას შეიგნოს პიროვნების კულტის მავნეობა.

ამასთან დაკავშირებით ამხ. კაჭარავა აკრიტიკებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის, თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის კომკავშირის კომიტეტებს, კომკავშირის ორჯონიკიძის რაიონულ კომიტეტს. იგი ეხება აგრეთვე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, მისი პროპაგანდისა და აგიტაციის, სკოლებისა და სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილებათა მუშაობას, რომლებიც მოწყვეტილი არიან მასებს, არ ეხმარებიან კომკავშირულ ორგანიზაციებს ახალგაზრდობის იდეურ აღზრდაში.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები, როგორც აღნიშნავდნენ პლენუმზე, ცუდად უნერგავენ ახალგაზრდობას საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობას, შრომისადმი სიყვარულს, ურიგდებიან იმას, რომ ცალკეული ჭაბუკები და ქალიშვილები არ მონაწილეობენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, ხოლო ზოგიერთი მათგანი ეწევა პარაზიტულ ცხოვრებას, სპეკულაციას, სხვადასხვა მაქინაციებს და სხვა საეჭვო საქმეებს. ზუგდიდის, ხაშურის, სიგნაღოს, გორეუბნის, სამტრედიის, თეთრი წყაროს, ზესტაფონისა და სხვა რაიონებში ბევრი ახალგაზრდა უსაქმოდ დადის, თავს არიდებს საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში, მეცხოველეობაში მუშაობას. ძირითადი მასა რესპუბლიკის ახალგაზრდობისა, რომელიც თავდადებით და პატიოსნად შრომობს სამშობლოს საკეთილდღეოდ, საკმაო ზეგავლენას ვერ ახდენს უსაქმურებსა და მუქთახორებზე.

თბილისის ორთაჭალა-ვაგონსარემონტო ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ა. სამანიშვილმა მოიწონა ღონისძიებანი, რომლებიც სკკპ ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო პიროვნების კულტის და მისი შედეგების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მან თქვა, რომ ქარხანაში შრომობენ 22 ეროვნების მუშები, რომ ისინი ყველანი ერთიან ოჯახად ცხოვრობენ, მტკიცედ იბრძვიან მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ქარხნის კომკავშირის კომიტეტი აწყობს მეგობრობის საღამოებს, ექსკურსიებს მოძმე რესპუბლიკათა დედაქალაქებში და აზორიცელებს სხვა ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის გაძლიერება.

კომკავშირის აღიგენისა და მესტიის რაიკომების მდივნებმა ვ. ძაძამიამ და ბ. ქალდანმა ცენტრალური კომიტეტის მუშაკები გააკრიტიკეს იმისათვის, რომ ისინი ადგილებზე, უშუალოდ თვითონ არ ეწევიან პოლიტიკურ მუშაობას მასებში, მოსწყდნენ ახალგაზრდობას.

პლენუმზე მოჰყავდათ ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ კომკავშირულ მუშაკთა გარკვეულ ნაწილში ცოცხლობს კომკავშირის ბუნებისათვის უცხო ზნეჩვეულებები — მლიქნელობა, მაამებლობა, ერთმანეთისათვის ხელის დაფარება, უბრინჯაობა, ნაკლოვანებათა მიჩქმალვისადმი, სინამდვილის შელამაზებისადმი მისწრაფება. მაგალითად, კომკავშირის ფოთის საქალაქო კომიტეტის, ზესტაფონისა და კაჭრეთის რაიონული კომიტეტების მდივნებმა ზ. ნადარეიშვილმა, ნ. კვინაკაძემ, გ. სოლოლაშვილმა სცადეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისათვის დაეფალათ არაჯანსაღი განწყობილება, რომელსაც ცალკეული კომკავშირელები იჩენდნენ.

კომკავშირის ახალქალაქისა და თიანეთის რაიკომების მდივნებმა კ. ოვანოლიანმა და მ. გონჯილაშვილმა ილაპარაკეს მთიანი რაიონების ახალგაზრდობის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე. მათ უამბეს პლენუმს, თუ რა მუშაობა წარმოებს ახალგაზრდობისათვის პიროვნების კულტის მავნეობის განსამარტებლად და აღნიშნეს, რომ საჭიროა უფრო ფართოდ განვითარდეს ჭაბუკებისა და ქალიშვილების შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა, განმტკიცდეს ხალხთა მეგობრობა, უფრო გაბედულად დაწინაურებულ იქნან ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზე წარმოების მოწინავე მუშაკები რესპუბლიკის მოსახლეობის მრავალეროვანი შემადგენლობის გათვალისწინებით.

კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის იდეურ აღზრდაში ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღმოფხვრასთან დაკავშირებული დიდმნიშვნელოვანი საკითხები აღძრეს თავიანთ გამოსვლებში კომკავშირის აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტების მდივნებმა ი. კვაციონიამ და ნ. თენეიშვილმა, გაზეთ „მოლოდი სტალინეცის“ რედაქტორმა ო. ქინქლაძემ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ე. შევარდნაძემ და სხვებმა. მათ თქვეს, რომ სტალინის პიროვნების კულტმა დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციას, რომ მისი შედეგების ლოკვიდაცია შეუძლებელია, თუ მასებში ღრმა ახსნა-განმარტებითი მუშაობა არ იქნა წარმოებული.

კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ვ. ცხოვრებოვმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა ზიანი მოუტანა პიროვნების კულტმა ოლქის მშრომელებს. მან აგრეთვე ილაპარაკა ურღვევ მეგობრობაზე, რომლითაც შეკავშირებული არიან ოსები, ქართველები, რუსები, სომხები — სამხრეთ ოსეთში მოსახლე ყველა ეროვნების მშრომელები.

ამხ. ცხოვრებოვმა გააკრიტიკა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, რომელიც ნაკლებად ზრუნავს მთიან რაიონებსა და სოფლებში კულტურულ-საგანმანათლებელი მუშაობის გაუჯანსაღებლობისათვის, აპათრუნებს კულტურის სახლების მშენებლობას ზნეურსა და ჯავაში. შემდეგ მან აღნიშნა, რომ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის როდი უგდებს ყურს კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს.

უნდა ითქვას, რომ პლენუმზე არ გაისმოდა რიგითი კომკავშირელების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეების ხმა. თუ არ ჩავთვლით ა. ბერულავას — ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირულ ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელს, ძირითადად გამოდიოდნენ მხოლოდ ხელმძღვანელი მუშაკები. მოხსენებასა და გამოსვლებში არაფერი იყო ნათქვამი კომკავშირის ზრდის შესახებ, მაშინ როცა მეტ წილ კომკავშირულ ორგანიზაციებს წელს თავიანთ რიგებში ერთი კაციც არ მიუღიათ. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა კომკავშირში ახალგაზრდა მუშებისა და კოლმეურნეების მიღების მხრივ.

პლენუმმა კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს ახალგაზრდობის აქტივობა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუჯანსაღებლებისათვის ბრძოლაში. პლენუმის მონაწილეებმა გააკრიტიკეს კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტი, მარნეულისა და სხვა რაიონული კომიტეტები, რომლებიც არ მუშაობენ მეელორეობის განვითარებისათვის. აღინიშნა, რომ ამ საქმეში ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინეს სტალინირის კომკავშირელებმა: მათ ვალდებულება იკისრეს მოაგროვონ ორი ათასი ტონა რკო ღორების გასასუქებლად. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა იკისრონ აგრეთვე შეფობა ვენახებზე, უნდა მიაღწიონ იმას, რომ უახლოეს წლებში ვენახების ფართობი გადიდდეს ერთიორად, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჩაის პლანტაციებში სამუშაოთა მექანიზაციაში.

პლენუმზე სატყეო წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. პ. ვ. კოვანოვმა.

განხილულ საკითხზე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მთავარი ამოცანაა ღრმად განუმარტონ კომკავშირელებს, მთელ ახალგაზრდობას პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადწყვეტილებანი, სტალინის პიროვნების კულტის ანტიმარქსისტული არსი და მისი მავნე შედეგები.

პლენუმმა პირობა მისცა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია, არის რა ლენინური კომკავშირის მებრძოლი რაზმი, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი საქმის ერთგული, დარაზმავს მთელ თავის ძალებს, ენერგიასა და უნარს და პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით უმოკლეს ვადაში აღმოფხვრის ნაკლოვანებებს კომკავშირელთა და ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში, უზრუნველყოფს ახალგაზრდობის უფრო აქტიურ მონაწილეობას რესპუბლიკის წინაშე მეექვსე ხუთწლედში მდგომი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

პარტიული ცხოვრება

პირველ მეცადინეობაზე

დადგა დღე, რომლისთვისაც ასე საქმიანად და მოფიქრებულად ემზადებოდნენ თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, საწარმოს კომუნისტები და კომკავშირელები. დაიწყო ახალი სასწავლო წელი პარტიული და კომკავშირული განათლების ქსელში.

მეცადინეობის დაწყებამდე რამდენიმე საათია დარჩენილი. პარტბიუროს მდივანი ო. ვადაჭკორია ერთხელ კიდევ ამოწმებს სამეცადინო ოთახების მზადყოფნას: გაკრულია თუ არა ცედლებზე დიაგრამები და რუკები, საკმაო რაოდენობით არის თუ არა მომზადებული მაგიდები და სკამები. ყოველ ოთახს კარებზე გაკრული აქვს წარწერა, თუ რომელი წრე ან სემინარი იმეცადინებს იქ და ვინ იქნება პროპაგანდისტი.

— კომუნისტებმა, კომკავშირელებმა და უპარტიო აქტივისტებმა პოლიტიკური სწავლების სულ სხვადასხვა ფორმები აირჩიეს, — მოგვითხრობს ამხ. ვადაჭკორია. — საწარმოში შექმნილია 5 წრე და კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი ერთი სემინარი, რომელსაც ქარხნის მთავარი ინჟინერი პ. გიორგაძე ხელმძღვანელობს. ამას გარდა კომუნისტების მნიშვნელოვანი ნაწილი პოლიტიკური თვითგანათლების გზით დაეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

— გასულ სასწავლო წელს — განაგრძობს იგი, — პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტებაში სერიოზული ნაკლოვანებანი გვქონდა. მთავარი ნაკლი ის იყო, რომ კომუნისტთა მოთხოვნების მიუხედავად შარშან არ ჩამოგვიყალიბებია კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრე ან სემინარი. ამჟამად ეს ნაკლი გამოსწორებულია. ახალ სასწავლო წელს ქარხანაში სემინართან ერთად კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრეც იმუშავებს.

საუბარში დრომ შეუმჩნეველად განვლო. უკვე საღამოს ხუთი საათია. საწარმოში სამუშაო დღე დამთავრდა, მაგრამ ბევრი მუშა ახლა სახლისაკენ კი არ მიიჩქარის, არამედ პოლიტიკურ მეცადინეობაზე. შევდიოთ ოთახში, რომლის კარებზე გაკეთებულია ასეთი წარწერა: „კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრე. პროპაგანდისტი ე. მირზაევა“. წრეში გაერთიანებულია 22 კაცი, ძირითადად წარმოების ოსტატები და ნოვატორი მუშები.

აი ოთახში შემოდის საიარაღო საამქროს მოწინავე ზეინკალი, მრავალ რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორი კ. ზარდალიშვილი. მასთან ერთად მოვიდა ნ. ლისენკო, მექანიკური საამქროს ნორმადარი და ამავე საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანი. ნ. ლისენკოს გვერდით ადგილს იკავებენ ცენტრალური საწყობის გამგე ს. პროკოფიევი და ვ. სვიაკი. მათ მოჰყვნენ სამეურნეო-ადმინისტრაციული განყოფილების გამგე ნინო გიგოლაშვილი და ამწყობი საამქროს ნოვატორი ზეინკალი ვ. სტეპანოვი... რამდენიმე წუთში ოთახი ხალხით გაიავსო.

მოვიდა პროპაგანდისტი ედა მირზაევაც. იგი ქარხნის სამსხმელო საამქროს უფროსის მოადგილედ მუშაობს და თითქმის წრის ყველა მსმენელს კარგად იცნობს. ედას დღეს პირველად უხდება მეცადინეობის ჩატარება. იგი ხაოხულში სწავლობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწყობილ პროპაგანდისტთა გადასამზადებელ ერთთვიან კურსებზე, ხოლო ახლა რამდენიმე დღის განმავლობაში გულმოდგინედ ემზადებოდა პირველი მეცადინეობისათვის.

— შევუდგეთ მეცადინეობას, ამხანაგებო, — მიმართავს პროპაგანდისტი მსმენელებს.

ედა შლის რვეულს და კითხულობს წრის მსმენელთა სიას. ოცდაორი კაციდან მეცადინეობაზე არ მოსულა მხოლოდ ორი — მ. აკოფოვი და მ. მხოიანი. მთელ ქარხანაში იციან, რომ ნოვატორი ხარატი მირდატ აკოფოვი ევროპის გარშემო გემ „პობედით“ ტურისტულ მოგზაურობაში იღებს მონაწილეობას. მ. მხოიანი კი ავადმყოფობის გამო ვერ მოვიდა მეცადინეობაზე.

თხუთმეტი წუთი პროპაგანდისტმა მოანდომა ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას: წრის მამასახლისად აირჩიეს მექანიკური საამქროს ჩქაროსანი ხარატი ვ. სვიაკი. გადაწყდა მეცადინეობა მოეწყოს თვეში ორჯერ, პარასკევობით. ამის შემდეგ პროპაგანდისტმა წრის მსმენელებს მოკლედ გააცნო სასწავლო პროგრამა.

— ორი წლის განმავლობაში, — თქვა მან, — სულ ჩვენ მოგვიხდება დაახლოებით 33 თემის შესწავლა. აქედან წელს შევისწავლით 16 თემას. დღევანდელი მეცადინეობის თემაა: „სოციალისტური მრეწველობა და მისი შემდგომი განვითარების ამოცანები მეექვსე ხუთწლედში“.

თემაში დაყენებული საკითხების გაშუქებამდე პროპაგანდისტმა მსმენელებს განუმარტა, თუ რას შეისწავლის კონკრეტული ეკონომიკა, ნოგორც მეცნიერება, დაახასიათა სოციალისტური მრეწველობა და მისი შემადგენელი დარგები.

— ამჟამად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, — მოაგონებს პროპაგანდისტი მსმენელებს, — რომ ღრმად შევისწავლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის ეკონომიური მოძღვრება, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის კონკრეტული ეკონომიკის საკითხები. დიდი ლენინი გვასწავლიდა, რომ სხვადასხვა პერიოდში წინა პლანზე გამოდის მარქსიზმის ხან ერთი, ხან მეორე შემადგენელი ნაწილი. ახლა, როცა საბჭოთა ადამიანები იბრძვიან შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრისათვის, პირველ პლანზე გამოდის მარქსისტულ-ლენინური თეორიის ეკონომიური მხარე, კონკრეტული ეკონომიკის საკითხები.

მან დაწვრილებით მოუთხრო მსმენელებს იმაზე, თუ როგორ გადაიქცა ჩვენი ქვეყანა ძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. ამავე დროს დამაჯერებლად უამბო მათ მშობლიური ქარხნის განუწყვეტელ წინსვლასა და ზრდაზე.

მეცადინეობის მეორე საათში პროპაგანდისტი ვრცლად შეეხო პარტიის XX ყრილობის დირექტივებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლედში.

— პარტიის XX ყრილობის დირექტივებში, — ლაპარაკობს იგი, — დასახულია საბჭოთა ხალხის მუშაობის ვრცელი პროგრამა, კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლის პროგრამა. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლედი ეგეგმავს ამოცანები ის არის, რომ ძირეულ მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბაზაზე უზრუნველყოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა, განვახორციელოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამ საფუძველზე მივაღწიოთ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვან ამაღლებას.

ლაპარაკობს რა მეექვსე ხუთწლედის ამოცანებზე, პროპაგანდისტი მარკვიდ იყენებს დიაგრამებს და მსმენელებს მკაფიოდ უჩვენებს, თუ რამდენად უნდა შრომის ნაყოფიერების 1960 წლისათვის ფოლადისა და თუჯის გამოდნობა, ქვანახშირისა და ნავთობის მოპოვება, ელექტროენერგიის გამომუშავება, მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

— დიდი ამოცანებია დასახული, — ამბობს იგი, — შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების დარგში. შრომის ნაყოფიერების 1 პროცენტით გადიდება ქვანახშირის მრეწველობაში წლის განმავლობაში დამატებით 4 მილიონ ტონა ქვანახშირს მოგვცემს. მარტო ჩვენს ქარხანაში შრომის ნაყოფიერების ერთი პროცენტით გადიდება წლის განმავლობაში დამატებით მოგვცემდა 170.000 მანეთის პროდუქციას. ამიტომ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის დაუცხრომელი ბრძოლა ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

დაწვრილებით შეეხო რა ტექნიკური პროგრესის განხორციელების გზებს — მექანიზაციას, ავტომატიზაციას, ქიმიზაციას, ელექტროფიკაციას, — პროპა

ორგანიზებულად მოვაწყოთ პირუტყვის საკავშირო აღწერა

მომდინარე წლის 1 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში დაიწყო პირუტყვის საკავშირო აღწერა, რომელიც შეაჯამებს 1956 წელს რაიონების, მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ მეცხოველეობაში მოპოვებულ მიღწევებს.

პირუტყვის აღწერის სწორად ჩატარებას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დავალებული აქვთ კარგად მოაწყონ ეს საქმე და სათანადო დახმარება აღმოუჩინონ აღმწერებს.

პირუტყვის აღწერა ტარდება სახელმწიფო და კოოპერაციულ მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, კოლმეურნეების, მუშების, მოსამსახურეებისა და მოსახლეობის დანარჩენი ჯგუფის მეურნეობებში.

სოფელ ადგილებში აღიწერება როგორც პირუტყვის მყოლი, ისე არმყოლი ყველა მეურნეობა, ქალაქად კი მხოლოდ ის მეურნეობები, რომლებსაც პირუტყვი ჰყავთ.

პირუტყვის აღწერა დავალებული აქვთ საქართველოს სსრ სტატისტიკურ სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს. აღწერაში მონაწილე პირები მთელ სამუშაო პერიოდში განთავისუფლებული იქნებიან ძირითადი სამუშაოსაგან და ხელფასის გარდა მიიღებენ დამატებითს ანაზღაურებას.

აღწერის მაღალხარისხოვნად და დაწესებულ ვადებში განხორციელება ეამოკიდებულია აღმწერთა კარგ მომზადებაზე, დაკისრებული მოვალეობისადმი მათს კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაზე და სამომთაბარო საძოვრებზე პირუტყვის დროულად გადათვლაზე. საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ის შეცდომები და დამახინჯებანი, რაც დაუშვეს ცალკეულმა აღმწერებმა, მოქალაქეებმა და კოლმეურნეობებმა წინა აღწერის დროს. მაგალითად, ჯავის რაიონის სოფელ მზიეში პირუტყვი აღწერეს არა კარდაკარ მეკომურთა ჩამოვლით და არსებული პირუტყვის დათვლით, არამედ მოქალაქეთა დაკითხვით. ანალოგიური მდგომარეობა იყო წალენჯიხის რაიონის ზოგიერთ სააღწერო უბანში. დამახინჯებები იყო აგრეთვე ჭიათურის რაიონის სოფლებში ნავარძეთში, რეხილათში და მერევში. პირუტყვის აღწერის შედეგების კოლმეურნეობების წევრთა საერთო კრებაზე განხილვისას მახარაძის რაიონში გადამალული აღმოჩნდა 18 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 65 ღორი და 2 თხა. ორჯონიკიძის რაიონში აღწერიდან გამოტოვეს 3 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 27 ღორი, თხა და ცხვარი.

ასეთი და სხვა დარღვევები ახლანდელი აღწერის დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვათ.

პირუტყვის საკავშირო აღწერა 8 დღეს გასტანს. ყველა სამინისტრო, დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელთაც ჰყავთ პირუტყვი ვალდებულია 1 ოქტომბრის მდგომარეობით მოაწყონ პირუტყვის ფაქტიურად გადათვლა, შეადგინონ აღწერის ბლანკი არა უგვიანეს 3 ოქტომბრისა და ჩაბარონ იგი აღმწერს ან ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონსპექტორს.

დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღწერის ჩამტარებელ პირებს ქალაქებსა და დაბებში, სადაც აღწერა ზოგჯერ უფრო ძნელი ხდება, ვიდრე სოფლად.

მოეწყობა აგრეთვე აღწერის შერჩევითი საკონტროლო შემოწმება მეკომურთა კარდაკარ ჩამოვლით.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ინსპექტორის მუშაკები და მათ დასახმარებლად მიმაგრებული პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან სისტემატურად ამოწმონ აღწერისა და საკონტროლო შემოვლის მიმდინარეობა და მიიღონ ზომები შემჩნეულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ აღმოფხვრისათვის.

ამ ღონისძიების წარმატებით განხორციელება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ქმედითს დახმარებას აღმოუჩენენ ადგილობრივი ორგანოები აღმწერებს. მეურნეობათა კარდაკარ შემოვლისას სასოფლო და საქალაქო საბჭოებმა აღმწერებს უნდა დაახმარონ დეპუტატები ან სხვა პასუხისმგებელი პირები.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს აღწერის შედეგების განხილვას. აღწერის შედეგები განხილულ უნდა იქნას კოლმეურნეობების წევრთა საერთო კრებებზე, გამგეობათა სხდომებზე. პირუტყვის გამორჩენის ცალკეული შემთხვევების გამოვლინების დროს აღმწერი ვალდებულია განმეორებით მივიდეს მეურნეობაში და ადგილზე დაუზუსტოს არსებული სულადობა.

ჯოგის შემადგენლობის შემოწმების მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოველთა ხნოვანების სწორად დადგენას. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ პირუტყვის მეპატრონე ყოველთვის როდი განასხვავებს ერთმანეთისაგან ძროხას, უშობელსა და დეკეულს. აღმწერი ვალდებულია მიაღწიოს ჯოგის ასაკობრივი შემადგენლობის სწორად დადგენას.

პირუტყვის საკავშირო აღწერა უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. მან უნდა მოგვცეს მეცხოველეობის მდგომარეობის სწორი სურათი, თვალნათლივ გვიჩვენოს ამ დარგში არსებული მიღწევები და ნაკლოვანებანი, რათა დასახულ იქნას სათანადო ღონისძიებანი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მეურნეობათა ხელმძღვანელების, ყველა კოლმეურნის და ქალაქად პირუტყვის მყოლ მცხოვრებთა ვალია აქტიური მონაწილეობა მიიღონ და დახმარება აღმოუჩინონ სტატისტიკურ ორგანოებს აღწერის წარმატებით ჩატარებაში.

ე. მაჩაბელი,
საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე.

უდანაკარგოდ ავიღოთ შაქრის ჭარხლის მოსავალი

სურათებზე: 1. სოფელ ეკრალეთის (გორის რაიონი) კოლმეურნეობის წევრები მ. ადუაშვილი და გ. ნობიტაშვილი მუშაობენ შაქრის ჭარხლის გასუფთავებაზე. 2. ვაგონების მექანიზებული წესით დატვირთვა შაქრის ჭარხლის გორის მიმღებ პუნქტში.

ფოტო შ. კუკულავისა.

გორელ მეჭარხლეთა ვალდებულება

გორის რაიონის კოლმეურნეობებსა, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც ებმებიან მთელი კოლექტივები, ბრიგადები, ცალკეული მოწინავე ადამიანები.

— გეგმის გადამეტებით მივცეთ სამშობლოს 80 ათასი ცენტნერი ჭარხალი, — ამ ლოზუნგით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება რაიონის მეჭარხლე კოლმეურნეობებს შორის.

წინასწარ ძნელია იმის თქმა, თუ ვინ გაიმარჯვებს შეჯიბრებაში, მაგრამ ბევრგან მონდომებით იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. სოციალისტური შეჯიბრება შავშვებსა და ზეღდულეთში, ქვეშსა და ხიდისთავში, ქვახვრელსა და ზერტში შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლის მიღების მრავალ მოწინავე ადამიანს ავლენს. სოფელ ქვეშის კოლმეურნეობა „წითელ ქართლში“ შაქრის ჭარხლის მოსავალმა ჰექტარზე 500 ცენტნერზე მეტი შეადგინა, მაშინ როცა გეგმა 380 ცენტნერის მიღებას ითვალისწინებდა. სოფლების ზეღდულეთისა და შავშვების კოლმეურნეობების მოწინავე ბრიგადები გეგმასთან შედარებით ერთნახევარჯერ — ორჯერ მეტ შაქრის ჭარხალს იღებენ და აბარებენ სახელმწიფოს.

მ. ვარდიშვილი.

ა რ ჩ ქ ა რ ო ბ ე ნ

ქასპის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში მეტად დაბალია შაქრის ჭარხლის ამოღებისა და მიმღებ პუნქტებში გადაზიდვის ტემპი. კოლმეურნეობათა დიდი ნაწილი არ ასრულებს ჭარხლის ამოღების ხუთდღიურ დავალებებს.

რა არის ამის მიზეზი? უწინარეს ყოვლისა ის, რომ ცალკეულ კოლმეურნეობათა გამგეობები ფიქრობენ ჭარხალმა შეიძლება წონაში კიდევ მოიმატოსო და არ ჩქარობენ. აგრეთვე ცუდად არის მოწყობილი ჭარხლის ტრანსპორტირება. კოლმეურნეობებიდან მიმღებ პუნქტებში ჭარხლის გადაზიდვაზე საკმაო რაოდენობით არ მუშაობენ ავტომანქანები.

28 სექტემბერს სოფელ კოდისწყაროს კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე თ. ღვინაძე) არ მიმდინარეობდა ჭარხლის ამოღება. სამი დღეა შაქრის ჭარხლის ამოღება შეწყვეტილ სოფელ ნიგოზას ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. ქოქაშვილი). ამ კოლმეურნეობის მემანდვრეობის პირველი ბრიგადის ხელმძღვანელმა ლ. კუდუხაშვილმა ეს ფაქტი ასე „გაამართლა“: მთელი მუშახელი მასობრივად გადაყვანილი გვყავს სასილოსე სამინდის მოჭრა-მოზიდვაზეო. მაგრამ შემოწმებისას არც სილოსის ჩადება მიმდინარეობდა.

ამ დღეს სოფელ აღაიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. ნათელაშვილი), რომელმაც სანახევროდაც ვერ შეასრულა წინა ორ ხუთდღიურში შაქრის ჭარხლის ჩაბარების დავალება, ჭარხლის ამოღებაზე მხოლოდ მემინდვრეობის მეორე ბრიგადის ერთი რგოლი მუშაობდა. მემინდვრეობის ერთი ბრიგადა იღებდა შაქრის ჭარხალს ოკამის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობაშიც.

შაქრის ჭარხლის ამოღება დაგვიანებით დაიწყეს და ეს სამუშაო ახლაც ნელი ტემპით მიმდინარეობს სოფლების კავთისხევის, თელადგორის, ქვემო გომის კოლმეურნეობებში.

სოფელ ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ სექტემბრის უკანასკნელ ხუთდღიურში მნიშვნელოვნად გააძლიერა ჭარხლის ამოღების ტემპი. მაგრამ ჭარხლის ამოღებაგასუფთავება და მიმღებ პუნქტში გადაზიდვა ჩამორჩა, რადგან არ ჰყოფნით ავტომანქანები. 28 სექტემბერს წინა დღეებში ამოღებული 800 ცენტნერამდე ჭარხალი იყო დარჩენილი გადასაზიდი. გორის სატვირთო ავტოკანტორის კასპის ფილიალის ორი ავტომანქანა, რომლებიც ამ კოლმეურნეობიდან ზიდავენ ჭარხალს, სრული დატვირთვით არ მუშაობს.

სოფელ ჩობალაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ჭარხალი უკვე დიდ ფართობზეა ამოღებული. ნაკვეთებში დაგროვილ-გარჩეულია ორი-სამი დღის წინათ ამოღებული 520 ცენტნერზე მეტი ჭარხალი. კოლმეურნეობის ერთადერთი ავტომანქანა ვერ ასწრებს გადაზიდვას.

შესაძლებელია თუ არა კოლმეურნეობების უზრუნველყოფა ავტომანქანებით? უნდა ითქვას, რომ პარტიის კასპის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი ავტომანქანების გამოყენების იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ადგილზეა, ცუდად იყენებენ. გორის სატვირთო ავტოკანტორის კასპის ფილიალს სამუშაო მდგომარეობაში მყოფი 17 სატვირთო ავტომანქანა აქვს, მათგან კი ჭარხლის გადაზიდვაზე 26 სექტემბერს მხოლოდ 2 ავტომანქანა მუშაობდა, 27 სექტემბერს — 4 და 28 სექტემბერს — 10 ავტომანქანა. ეს მაშინ, როცა ცალკეულ კოლმეურნეობებში დიდი რაოდენობით დაგროვებულია გარჩეული ჭარხალი.

კასპის რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა სასწრაფოდ უნდა მიიღონ ზომები შაქრის ჭარხლის ამოღებისა და მიმღებ პუნქტებში გადაზიდვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მშრომელთა კეთილდღეობისათვის ერთგულნი მადლობა მარტიელებს

მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ღონისძიებებს ახორციელებენ, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის. მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ზრუნვის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს სახელმწიფო პენსიების ახალი კანონი, რომელიც უკვე შევიდა მოქმედებაში.

მე 56 წლისა ვარ. 41 წელია რკინიგზის ტრანსპორტზე ვმუშაობ. 34 წელია ლოკომოტივის მემანქანე ვარ. ხახელმწიფოსაგან პენსიას აქამდეც ვიღებდი, მაგრამ ახალი კანონის მიხედვით იგი სამჯერ გამიღიდდა და ყოველთვიურად 1.200 მანეთი დამენიშნა. ეს ცოტა როდია. იგი მთლიანად დააკმაყოფილებს ჩემი ოჯახის მოთხოვნილებებს. ამავე რაოდენობით დაენიშნათ პენსიები ჩემს თანამოსაქმეებსაც — ლოკომოტივის ტარების ვეტერანებს შ. ოდილავაძეს, ნ. თავაძეს, ნ. ბოხუას და ბევრ ხხვას. 1 ოქტომბრიდან პენსიას 1.200 მანეთის რაოდენობით მიიღებს ლ. პაპავაც, რომელიც რამდენიმე წლის წინათ მოხუცებულობის გამო გავიდა პენსიაზე და დღემდე თვეში 430 მანეთს იღებდა.

ჩვენი მოხუცებულობა უზრუნველყოფილია. მაგონდება წარსული, როცა ხრულიად ახალგაზრდამ დეპოში დავიწყე მუშაობა. მოხუცებულობის, ან ჯანმრთელობის დაკარგვის შემთხვევაში როგორ უბედურად თვლიდნენ თავს ცარიზმის დროს რკინიგზელები. როგორ არ უნდა ვიამაყოთ ჩვენი ხამშობლოთი, მისი დიადი მონაპოვრებით! მადლობა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ადამიანებისადმი ასეთი მზრუნველობისათვის.

შ. ჯანელიძე,
ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე.

ჩემი ოჯახი უზრუნველყოფილია

სახელმწიფო პენსიების ახალი კანონი გამოხატავს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური ძლიერების ზრდას და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის.

მე 67 წლის მოხუცი ვარ, სპეციალობით საქონელმცოდნე. რამდენიმე ათეული წელია ვემსახურები ჩემს ქვეყანას, ჩვენს ხალხს. ახლა ფიზიკურად დავუძლურდი. უკანასკნელ წლებში ვიღებდი პენსიას 150 მანეთის ოდენობით. ჩემი მეუღლე ბუხჰალტერია, მაგრამ ისიც ავადმყოფობის გამო პენსიაზე გადავიდა. გვყავს ერთი შვილი, რომელიც 7 წლისაა.

პენსიების ახალი კანონის მიხედვით ჩემს ოჯახს შესაძლებლობა ეძლევა უზრუნველყოფით იცხოვროს. კანონის მიხედვით მოხუცებულობის გამო 872 მანეთი და 50 კაპიკი პენსია მეკუთვნის. ამას გარდა ჩემს შვილს ყოველთვიურად მიიცემა 87 მანეთი და 25 კაპიკი. ჩემმა მშობლიურმა მთავრობამ შრომის ინვალიდებისათვისაც გათვალისწინა პენსიები. პირველი ოქტომბრიდან ჩემი მეუღლე ნინო ყოველთვიურად 302 მანეთ პენსიას მიიღებს.

ამრიგად, ჩემი ოჯახი პენსიის სახით ყოველთვიურად დაახლოებით 1.300 მანეთს მიიღებს. ეს თანხა სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ჩემმა ოჯახმა კარგად იცხოვროს.

ამ უდიდესი ზრუნვისათვის ჩემზე, ჩემს ოჯახზე მადლობას ვუძღვნი საბჭოთა მთავრობას, მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, ჩვენს ხალხს.

ლ. ჯალალოვი.

მ ე გ ო ბ ა რ თ ა ე რ თ ი ა ნ ძ ვ ი რ ო ჯ ა ხ ი ში

წერილები მაღალმთიანი რაიონიდან

ახალქალაქის რაიონის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ იგი მრავალეროვანია. აქ მეგობართა ერთიან ძმურ ოჯახად ცხოვრობენ სომხები და ქართველები, რუსები და აზერბაიჯანელები, ბერძნები და სხვა ერთა წარმომადგენლები.

საკოლმეურნეო შრომამ, კომუნიზმის დიადი მიზნისათვის ბრძოლამ შეამჭიდროვა და განამტკიცა ამ ადამიანების მეგობრობა და ძმობა.

დიდი საკოლმეურნეო სოფელია ბარალეთი. ამ სოფელში ძმურად ცხოვრობენ და შრომობენ ქართველები და სომხები. თვითეული მათგანი მზად არის მეზობლის დასახმარებლად.

— ქართველი სომეხს ისე არ შეხვდება, რომ სომხურ ენაზე არ მიესალმოს და გამოელაპარაკოს, — გვითხრა სოფელ კოთელიის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. მელიქიძემ, — და თავის მხრივ სომეხიც ქართულ ენაზე აძლევს სალამს და ძმურად ესაუბრება ქართველს.

ამ ფაქტითაც მკაფიოდ არის გამოხატული ხალხთა ლენინური მეგობრობა და ძმობა.

ჯავახეთის სოფლებში გატაცებით კითხულობენ გამოჩენილი სომეხი პოეტის ოვანეს თუმანიანის შესანიშნავ ლექსს „საქართველოს პოეტებს“, რომელშიც იგი სომეხი და ქართველი ხალხების მარადიულ მეგობრობას უმღერის. ასევე რომელ ოჯახში არ გაიგონებთ დიდებული აკაკის ლექსის გულშიჩამწვდომ სტრიქონებს:

„შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა;
ორივე შვილი ერთი მიწა-წყლის,
ერთ მიდამოსი და ერთი მთისა!“

სწორედ ამ მეგობრობისა და ძმობის დარღვევას ცდილობდნენ ხალხის საძულველი მტერი ბერია და მისი დანაშაულებრივი ბანდა. მაგრამ მტრის ზრახვები ჩაფუშულ იქნა. ცნობილია, რომ ბერიას ანტიპარტიულმა და ანტისახელმწიფოებრივმა მოქმედებამ ზიანი მიაყენა საბჭოთა ხალხს და, განსაკუთრებით, საქართველოს მშრომელებს. ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ახორციელებდნენ რა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, ბერია და მისი დამქაშები ცდილობდნენ ჩაენერგათ ქართველი მოსახლეობისათვის ეროვნული განსაკუთრებულობის გრძნობა, ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებში ჩაეკეტათ და საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური ოჯახისათვის მოეწყვიტათ იგი. განზრახ ატარებდნენ რა აფხაზი, სომეხი და ოსი მოსახლეობის ეროვნული კულტურის ლიკვიდაციის ხაზს, ისინი ამით ხელოვნურად აღვივებდნენ შუღლს ქართველებსა და ჩვენს რესპუბლიკაში მოსახლე სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს შორის, ახორციელებდნენ მათს ძალდატანებითს ასიმილაციას. ყოველივე ეს ძირს უთხრიდა საქართველოში მოსახლე ხალხებს შორის საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებულ მეგობრობას.

მხოლოდ ბერიევშჩინის მავნე შედეგებით აიხსნება ის, რომ წლების განმავლობაში ახალქალაქის რაიონში თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა სასკოლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობების მშენებლობას. პარტიის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ბლრიანმა დაგვისახელა ასეთი საგულისხმო ფაქტი: 1954 წლამდე, 30-ზე მეტი წლის განმავლობაში, რაიონში აშენებულია მხოლოდ ერთი სასოფლო საავადმყოფო, ექვსი სკოლა და ერთი 8-ბინიანი სახლი. თქმა არ უნდა, რომ ეს ძალიან ცოტაა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ბერიევშჩინის შედეგების აღმოსაფხვრელად მიღებულ ღონისძიებათა საფუძველზე ახალქალაქის რაიონში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მუშაობა ლენინური ეროვნული პოლიტიკის გაუხრელად გატარებისათვის. პარტიის ახალქალაქის რაიკომი სისტემატურად მუშაობს მშრომელთა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდის საკითხებზე, ზრუნავს ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის. ივნისსა და ივლისში რაიონის მეტ წილ კოლმეურნეობებში ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა წაიკითხეს მოხსენებები სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობაზე.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ახალქალაქის კულტურის სახლში, რომელიც სადღესასწაულოდ იყო მორთული, გაიმართა მეგობრობის საღამო. ათი ეროვნების წარმომადგენლები იღებდნენ ამ საღამოში მონაწილეობას. რუსებმა, ქართველებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა სიხარულით მოუთხრეს ერთმანეთს თავიანთ შრომითს მიღწევებსა და საწარმოო გამოცდილებაზე, დიდი გატაცებითა და ოსტატობით შეასრულეს ხალხური სიმღერები და ცეკვები. მშრომელთა დიდი პატრიოტული აღფრთოვანების ვითარებაში ჩაიარა მეგობრობის საღამომ აგრეთვე სოფელ ჩუნჩხას ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში.

ხალხთა ძმური მეგობრობა ახალი შემოქმედებითი ძალებით აღავსებს კოლმეურნეებს. იგი მათ ეხმარება კიდევ უფრო ფართოდ გაიაღონ სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის. ამას წინათ სოფელ ბარალეთში სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობაზე საინტერესო ლექცია წაიკითხა პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანმა თამარ ლაზარაშვილმა. თავის ლექციაში მან სომეხი, ქართველი, რუსი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობის მრავალი ამაღელვებელი მაგალითი მოიყვანა.

— ჩვენი რაიონის სოფელ დიდი სამსარის კოლმეურნეებს, — განაცხადა მან, — დიდი ხნის მეგობრობა აქვთ ასპინძის რაიონის სოფელ ოშორის კოლმეურნეებთან. ამ ორი სოფლის ეშორიელთა ძმური მეგობრობა სამსარელ და ოშორელ კოლმეურნეთა სამეურნეო წარმატებების დაუშრეტელი წყაროა.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მშრომელთა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის ლენინურ იდეებზე აღზრდისათვის ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამას წინათ გამართულმა ახალქალაქის რაიონული პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ, რომელმაც ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ, მოითხოვა გაძლიერდეს ბრძოლა ბერიევშჩინის შედეგების ბოლომდე აღმოფხვრისათვის, მშრომელთა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის. რაიონის კოლმეურნეობებში თითქმის სრულებით არ ეწყობა ლექციები ისტორიაში ხალხის მასების როლის შესახებ, ლენინურ ეროვნულ პოლიტიკაზე, პიროვნების კულტისა და მისი მავნე შედეგების დაძლევის შესახებ.

პარტიის რაიკომის ბროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ კ. კარახანიანმა გვითხრა, რომ აგვისტოს ბოლო რიცხვებისთვისაც კი რაიონში ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მიღებული სომხურ ენაზე ბროშურად გამოცემული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის 30 ივნისის დადგენილება „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“. გასაგებია, რომ ამან არ შეიძლება ხელი არ შეუშალოს საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის მთელი ძალით გაჩაღებას.

ბევრი რამ არის გასაკეთებელი ახალქალაქის რაიონში სახალხო განათლების დარგში. ფაქტია, რომ სოფლებში აბულში, ხორენაში, ჩამდურში, ვარეანში, აგანაში, ბოზალში, ქარცებში, თახჩაში, ერინჯაში, დაბნიაში, ბავრაში, გომანში, თოთხამში და ფილიპოვკაში სრულებით არ არსებობს სასკოლო შენობები და მეცადინეობა დაქირავებულ ბინებში მიმდინარეობს. იმ თანხებით, რომლებიც ყოველწლიურად იხარჯება ბინების დაქირავებაზე, აქამდე რამდენიმე სასკოლო შენობის აგება ითხოვდა. ჯერ კიდევ 1953 წელს თავის ერთ-ერთ განცხადებაზე ვ. კაზარიანმა ასეთი მრავლისაღმთქმელი პასუხი მიიღო:

„თქვენი განცხადების პასუხად საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო გაცნობებთ, რომ სამშენებლო საშუალებათა უქონლობის გამო აბულის სკოლის მშენებლობა ვფიქრობთ გავითვალისწინოთ მომავალი წლების სამშენებლო გეგმაში“.

1954 წელს ვ. კაზარიანმა კვლავ მოაგონა სამინისტროს მუშაკებს სოფელი აბული. იმათაც არ დააყოვნეს მექანიკური პასუხის გამოგზავნა: „სოფელ აბულის სკოლის მშენებლობა გათვალისწინებულია მომავალი წლების გეგმით“. როდის იქნება ეს მომავალი წელი? ყოველ შემთხვევაში, ეს რომ 1956 წელი არ იქნება, ამაში უკვე არც აბულელ მასწავლებლებს და არც მოსწავლეებს ეჭვი არ ეპარებათ.

მაგრამ მკითხველს არ უნდა გაუკვირდეს სოფლის მასწავლებლისადმი განათლების სამინისტროს ასეთი დამოკიდებულება, რადგან იგი უარესსაც აკეთებს. ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დავალებული ჰქონდათ კაპიტალური მშენებლობის 1956 წლის გეგმაში გაეთვალისწინებინათ ახალქალაქში ერთი სასკოლო შენობის აგება 320 მოსწავლისათვის. ასეთი იყო დავალება, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის შესრულებული.

დავალებებს ცუდად ასრულებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროც. 1956 წელს სამინისტროს ახალქალაქში უნდა დაეწყო 100-საწოლიანი რაიონული საავადმყოფოს მშენებლობა, მაგრამ დღემდე ამ მხრივ არაფერია გაკეთებული. რაიონს აქამდე კიდევ აკლია 12 ექიმი. ბარალეთის სასოფლო საავადმყოფოში სამის ნაცვლად მხოლოდ ერთი ექიმი მუშაობს.

არ შეიძლება განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მუშაკებს არ შევნიშნოთ: მართალია, ახალქალაქის რაიონი თვალიდან შორს არის, მაგრამ სამაგიეროდ გულთან ახლოს უნდა იყოს. და როცა ეს ასე იქნება, მაშინ კიდევ უფრო მეტი გაკეთდება პრაქტიკულად იმისათვის, რომ განუხრელად მაღლდებოდეს ახალქალაქის რაიონის მშრომელთა კულტურული დონე.

ვ. შავგულიძე,
ლ. ასტვაცატუროვი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ჩინელი ჰიდროტექნიკოსი ინჟინრები საქართველოში

საქართველოში ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა ჩინელ ჰიდროტექნიკოს ინჟინერთა ჯგუფი.

ჯგუფში შედიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალისტები — ჰიდროტექნიკოსი ინჟინრები: ჩინეთის წყალთა მეურნეობის სამინისტროს საერთო მორწყვის სამმართველოს უფროსი ჩუი-დენი, რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამინისტროს განყოფილების უფროსი ძინ-იუანი, სინ ძიანის პროვინციის რწყვის განყოფილების უფროსი აზამატ ახმედოვი, შიდა მონღოლეთის წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხაო-სიუ ჩანი, ჩინეთის წყალთა მეურნეობის სამინისტროს მუშაქალი იუი-მუნ-ძიუნი.

ამ ხნის განმავლობაში ისინი გაეცნენ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთელ რიგ ობიექტებს. იყვნენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, სადაც დაათვალიერეს კუორორტები და სანატორიუმები. შემდეგ იყვნენ ქალაქ ფოთში, სადაც გაეცნენ კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაოებს, აჭარის ასს რესპუბლიკაში სტუმრებმა დაათვალიერეს მდინარე ჭოროხის ნაპირების გასამაგრებელი მშენებლობა. მახარაძის რაიონში მათ უყურეს ჩაის პლანტაციების მორწყვას ხელოვნური წვიმით. ბორჯომიდან გორამდე ისინი ეცნობოდნენ ტაშისკარის სარწყავი სისტემის მშენებლობას. შემდეგ ინახულეს მუხრანის სარწყავი სისტემა, სადაც გაეცნენ სატუმბავ სადგურებს. თბილისში სტუმრები იყვნენ ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, სადაც მათ ლაბორატორიულ პირობებში უჩვენეს სხვადასხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მაკეტების გამოცდა.

შემდეგ სტუმრები გაემგზავრნენ გარდაბნის სარწყავი სისტემის გასაცნობად, ინახულეს ზემო სამგორის სარწყავი სისტემა.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ჩუი-დენმა განაცხადა: — თქვენთან — საქართველოში, ამწუანებული მთებისა და ანკარა ჩანჩქერების რესპუბლიკაში, ჩვენ ჩამოვედით იმისათვის, რომ გავცნობოდით თქვენს მიღწევებს რწყვისა და მელიორაციის დარგში. ბევრი რამ ვისწავლეთ თქვენგან სარწყავი არხების მშენებლობისა და ჭაობიანი ადგილების ამოშრობის საქმეში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გადავცემთ ჩვენს სპეციალისტებს საბჭოთა კავშირში შეძენილ გამოცდილებას.

— ყველგან, სადაც კი ვიყავით, ჩვენ ვგრძნობდით და ვხედავდით, თუ რა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობიან საბჭოთა ადამიანები ჩინელი ხალხის წარმომადგენლებს, ვგრძნობდით მეგობრობას, რომლითაც სამარადისოდ დაკავშირებულია ერთმანეთთან ორი დიდი ხალხი.



გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით გთხოვთ დიდი მადლობა გადასცეთ რესპუბლიკის ყველა ორგანიზაციას, რომლებმაც ესოდენ ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ ნაყოფი გამოეღო ჩვენს აქ ყოფნას.

დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალისტების ჯგუფი მიემგზავრება აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში.

• • •

სურათზე: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰიდროტექნიკოს ინჟინერთა ჯგუფი თბილისში.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ომის საბჭოთა veteranების პირველი სრულიად საკავშირო კონფერენცია

29 სექტემბერს მოსკოვში, საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლში, გაიმართა ომის საბჭოთა ვეტერანების პირველი სრულიად საკავშირო კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 800-ზე მეტი დელეგატი — სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების ვეტერანები, ყოფილი ფრონტელები და პარტიზანები, გენერლები, ადმირალები, ოფიცრები, ჯარისკაცები და მატროსები, ომის ინვალიდები, ყოფილი სამხედრო ტყვეები — ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკების პატიმრები.

საბჭოთა კავშირის მარშალ ა. მ. ვასილევსკის წინადადებით დელეგატებმა და სტუმრებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს დიდი სამამულო ომის გმირებს, რომლებიც დაიღუპნენ ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში.

მოხსენება „ომის საბჭოთა ვეტერანების ამოცანები ხალხთა შორის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში“ გააკეთა გადამდგარმა გენერალ-ლეიტენანტმა ა. ს. გუნდოროვმა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალმა ი. ს. ისაკოვმა, პარტიზანთა შენაერთების ყოფილმა მეთაურებმა — ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა ს. ა. კოვპაკმა, საბჭოთა კავშირის გმირებმა ვ. ი. კოზლოვმა, ა. ნ. საბუროვმა, პსკოვთან წითელი არმიის 1918 წლის ბრძოლების მონაწილე პოლკოვნიკ — წითელი არმიის მეორე პოლკის ყოფილმა მეთაურმა თადარიგის გენერალ-ლეიტენანტმა ა. ი. ჩერეპანოვმა, სტალინგრადის დაცვის სახელგანთქმულმა გმირმა, თადარიგის სერჟანტმა საბჭოთა კავშირის გმირმა ი. ფ. პავლოვმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ექიმმა ნ. ვ. ტროიანმა, ყოფილმა მეტყვეიამფრქვევემ, დიდების სამი ორდენის კავალერმა დ. ი. მარკაუსკენემ, ყოფილმა მოიერშე მფრინავმა, ოთხი შვილის დედამ საბჭოთა კავშირის გმირმა ტ. ფ. კონსტანტინოვამ, ბრესტის ციხის გმირული დაცვის მონაწილემ თადარიგის მაიორმა პ. მ. გავრილოვმა, „სამშობლოში დაბრუნების“ კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალ-მაიორმა ნ. ფ. მიხაილოვმა, მწერალმა თადარიგის პოდპოლკოვნიკმა ნ. მ. გრიბაჩოვმა, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების მონაწილემ დეკანოზმა ვ. ე. ელხოვსკიმ და სხვებმა.

გამოსულნი ლაპარაკობდნენ საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების უკვდავ გმირობაზე დიდ სამამულო ომში, რომლებმაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს ჰიტლერულ ფაშიზმზე, მოჰყავდათ მამაცობის, გმირობისა და თავდადების მრავალი მაგალითი, რომლებიც ომის დროს საბჭოთა ადამიანებმა გამოიჩინეს. დელეგატები ლაპარაკობდნენ ყოფილი ფრონტელებისა და პარტიზანების შრომითს მამაცობაზე, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის ბრძოლაში ომის ვეტერანების მონაწილეობაზე.

კონფერენციაზე ერთსულოვნად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სსრ კავშირში შეიქმნას ომის საბჭოთა ვეტერანების ორგანიზაცია.

ომის საბჭოთა ვეტერანების ორგანიზაციის წესდების პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის გმირმა ა. პ. მარესიევმა. კონფერენციის მიერ დამტკიცებული წესდების თანახმად, ომის საბჭოთა ვეტერანების ორგანიზაცია არის ომის ყოფილ მონაწილეთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მათს ღონისძიებებს აერთიანებს საბჭოთა სამშობლოს აყვავებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო და უცხოეთის იმ ეროვნულ ორგანიზაციებთან ურთიერთობების განმტკიცებისათვის ბრძოლაში, რომლებიც ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ იბრძვიან. ორგანიზაციის წინაშე დასახულია ამოცანა აღზრდილობითი მუშაობა აწარმოოს ომის ვეტერანებს შორის საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ხალხებს შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცების სულისკვეთებით.

კონფერენციის დელეგატებმა აირჩიეს ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანო — ომის ვეტერანების საბჭოთა კომიტეტი. კონფერენციამ კომიტეტს მიანდო მიმართოს ომის ვეტერანების მსოფლიო ფედერაციას თხოვნით თავის წევრად მიიღოს ომის საბჭოთა ვეტერანების ორგანიზაცია.

კონფერენციის დახურვისას საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. მ. ვასილევსკიმ მოუწოდა ომის ყველა საბჭოთა ვეტერანს უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმ დიდებული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა, დაუცხრომლად ზარდონ საბჭოთა ახალგაზრდობა ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი თავდადებული ერთგულების სულისკვეთებით, იბრძოლონ, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის, ყველა ხალხებს შორის ურთიერთობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

იმავე დღეს გაიმართა ომის ვეტერანების საბჭოთა კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა აირჩია კომიტეტის პრეზიდიუმი 15 კაცის შემადგენლობით და დაამტკიცა კომიტეტის მუშაობის გეგმა. პრეზიდიუმის შემადგენლობაში შევიდნენ ს. ა. ბორზენკო, ა. მ. ვასილევსკი, ვ. ს. გრიზოდუბოვა, ა. ს. გუნდოროვი, ი. ს. ისაკოვი, ს. ა. კოვპაკი, ვ. ი. კოზლოვი, ა. პ. მარესიევი, ა. ს. ნიკიტინი, ნ. პ. პოლიაკოვი, ბ. ე. როდიონოვი, ა. ნ. საბუროვი, ნ. ვ. ტროიანი, ნ. ი. ჩიკალენკო, ს. ს. შატილოვი. ომის ვეტერანების საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩეულია საბჭოთა კავშირის მარშალი ა. მ. ვასილევსკი, თავმჯდომარის მოადგილეებად — ა. ს. გუნდოროვი, ს. ა. კოვპაკი და ს. ს. შატილოვი, პასუხისმგებელ მდივნად — ა. პ. მარესიევი.

კომიტეტის ადგილსამყოფელია ქალაქი მოსკოვი. (საკდესი).

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების დელეგაცია სსრ კავშირში

ფრუნზე, 30 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ყირგიზეთის დედაქალაქიდან ტამკენტში გაემგზავრა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების დელეგაცია, რომელიც სტუმრად არის რესპუბლიკაში. ფრუნზეს აეროდრომზე ძვირფასი სტუმრების გასაცილებლად მოვიდნენ ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯ. კარაკეევი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები დ. გ. ბოლშაკოვი, ჯ. კონდუჩალოვა, ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. აბდიკულოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები, მეცნიერების, ლიტერატურის მოღვაწეები, ქალაქის საწარმოთა კოლექტივების წარმომადგენლები, კოლმეურნეები, პრესის წარმომადგენლები.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კარაკეევმა თავის სიტყვაში ითხოვა გადასცენ კორეელ ხალხს ყირგიზი ხალხის ძმური სალამი და სოციალისტურ მშენებლობაში, მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში საუკეთესო წარმატებათა სურვილები.

დელეგაციის ჰეთაურმა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების თავმჯდომარემ ლი ენმა თქვა:

— ჩვენ დიდი ინტერესით გავეცანით უდიდეს წარმატებებს, რომლებიც ყირგიზეთის მშრომელებმა კომუნიზმის აშენების საქმეში მოიპოვეს. სადაც ვიყავით, ყველგან გულთადი ყურადღებასა და ზრუნვას იჩენდნენ ჩვენდამი და დარწმუნებული ვართ, რომ ეს არის ჩვენი ქვეყნების ხალხთა ურღვევი მეგობრობის გამოვლინება.

• • •

ტაშკენტი, 30 სექტემბერი. (საკდესი). დღეს უზბეკეთის დედაქალაქში ჩამოვიდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების დელეგაცია, რომელსაც კრების თავმჯდომარე ლი ენი მეთაურობს.

ტაშკენტის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო სსრ კავშირის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და უზბეკეთის სსრ სახელმწიფო ალმებით, დელეგაციას შეხვდნენ უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები, საწარმოთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სტუმრებს მიესალმა უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი დ. ი. ილხამოვა. საპასუხო სიტყვაში ლი ენმა გულთადი მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის.

დასვენების შემდეგ დელეგაციამ დაათვალიერა ურტა-სარაის რაიონის კოლმეურნეობა „პოლარული ვარსკვლავი“.

საღამოს სტუმრები ჰუკიმის სახელობის თეატრში დაესწრნენ სპექტაკლს „ლეილი და მეჯნუნი“.

შვეიცარიელი ჟურნალისტები თბილისში

30 სექტემბერს თბილისში იყო შვეიცარიელ ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელიც მოგზაურობს საბჭოთა კავშირში. ისინი ჩვენს ქვეყანაში სტუმრად არიან გაზეთ „იზვესტიას“ რედაქციისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების მოწვევით.

ადლერიდან ჩამოსულ შვეიცარიელ ჟურნალისტებს ვაგზალში შეხვდნენ რესპუბლიკური გაზეთების, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს — საქდესის წარმომადგენლები.

შვეიცარიელი სტუმრები ესაუბრნენ ადგილობრივი პრესის მუშაკებს, დათვალიერეს საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

თბილისიდან შვეიცარიელი ჟურნალისტები ბაქოში გაემგზავრნენ. (საქდესი).

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობისადმი მიძღვნილი საღამო თბილისში

თბილისში, შ. რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საღამო, მიძღვნილი პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურასადმი. საღამო მოაწყო უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ.

შეკრებილი მხურვალე ტაშით შეხვდნენ პრეზიდიუმში პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციის გამოჩენას, რომელსაც მეთაურობს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი განათლების მინისტრის მოადგილე ოსმან ახმატოვიჩი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ვ. ქოჩორაძემ. იგი ამბობს, რომ სიყვარულისა და გულწრფელი მეგობრობის დიდი გრძნობები აკავშირებს საბჭოთა და პოლონელ ხალხებს. ამ სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის მკაფიო გამოვლინებაა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ერთთვიურები, რომლებიც ყოველწლიურად ეწყობა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთში.

მოხსენება „პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა სოციალიზმის მშენებლობის გზაზე“ გააკეთა პოეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ.

საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა თ. კეკენაძემ, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ვარშავის V მსოფლიო ფესტივალის მონაწილემ, საქართველოს ფილარმონიის სოლისტმა ც. ციცქიშვილმა.

გულთბილად შეხვდნენ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციის მეთაურის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი განათლების მინისტრის მოადგილის ოსმან ახმატოვიჩის გამოსვლას. მან თქვა, რომ პოლონელი ხალხი უსაზღვროდ მადლიერია საბჭოთა ხალხისა უანგარო დახმარებისა და მხარდაჭერისათვის პოლონეთის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. დიდ საბჭოთა კავშირთან ძმური მეგობრობა პოლონეთის მშრომელებს მიაჩნიათ სოციალისტურ მშენებლობაში თავიანთ შემდგომ წარმატებათა საწინდრად.

საღამოს დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი. (საქდესი).

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს VIII სესია

სოფია, 28 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს სესიის საღამოს სხდომაზე დაიწყო ლუი საიანის მოხსენების განხილვა. პირველი გამოვიდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარე და გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარე ჰერბერტ ვარნკე, რომელმაც ალაპარაკა გერმანელ მშრომელთა ბრძოლაზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გერმანული მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ.

გაბონის (საფრანგეთის ეკვატორული აფრიკა) პროფკავშირთა წარმომადგენლის ლუი მუვეის გამოსვლის შემდეგ სიტყვა მიეცა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარეს საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარეს ვ. ვ. გრიშინს.

მისი სიტყვის პირველი ნაწილი მიეძღვნა საერთაშორისო მდგომარეობას, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მიღწევებს. გრიშინი დაწვრილებით შეჩერდა საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებზე, რომელთა მიზანია მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების, ხალხთა ურთიერთგაგების გაუმჯობესების საქმეში, განაგრძო საბჭოთა წარმომადგენელმა, დიდი როლი შეუძლიათ შეასრულონ და კიდევაც უნდა შეასრულონ პროფკავშირებმა და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ.

გრიშინი შეეხო საბჭოთა პროფკავშირების საქმიანობას თავიანთი საერთაშორისო ურთიერთობის განსამტკიცებლად. 1955-1956 წლებში საბჭოთა პროფკავშირებმა მიიღეს მსოფლიოს 45 ქვეყნის 230-ზე მეტი მომწე პროფკავშირული და მუშათა დელეგაცია. ამავე ხნის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაგზავნა სსრ კავშირის 180 პროფკავშირული დელეგაცია.

ამ ხნის განმავლობაში, კერძოდ, საბჭოთა პროფკავშირებმა ურთიერთობა დაამყარეს შვეიცის, ნორვეგიის, დანიის, ისლანდიის, ავსტრიის, ბელგიის, საბერძნეთის, ინდოეთის ბევრ პროფკავშირთან. წარმატებით ვითარდება საბჭოთა დარგობრივი პროფკავშირების ურთიერთობა ინგლისის შესაბამის პროფკავშირებთან. მტკიცდება აგრეთვე კავშირი ჩინეთის, იაპონიის, ბირმის, ინდონეზიის, ჩილის პროფკავშირულ ცენტრებთან.

ორატორმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ აღდგენილია ძმური ურთიერთობა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის პროფკავშირებს შორის.

მაგრამ, განაცხადა შემდეგ გრიშინმა, სამწუხაროდ, ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნის პროფკავშირთა ხელმძღვანელობაში, აგრეთვე თავისუფალ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციისა და ქრისტიანთა პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის ხელმძღვანელობაში ჯერ კიდევ არიან ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეს.

ამ ძალების მიზეზით პროფკავშირები ამჟამად გათიშული არიან, რაც დიდ ზიანს აყენებს მშვიდობისა და მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლის საქმეს.

მაგრამ მუშათა მზარდი მისწრაფება ერთიანობისადმი, მისწრაფება ბოლო მოეღინ „ცივ ომს“, უეჭველია, გადალახავს იმათ ამაო ღონისძიებებს, ვინც ცდილობს ხელი შეუშალოს პროფკავშირთა და მშრომელთა მზარდ თანამშრომლობას.

საბჭოთა წარმომადგენელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მუშათა კლასის ერთიანობის საკითხს. არის ბევრი საერთო პრობლემა, თქვა მან, რომელებზეც შეიძლება დამყარდეს ყველა საერთაშორისო პროფკავშირული ორგანიზაციის მოქმედების ერთიანობა... ეჭვი არ არის, რომ პროფკავშირებს, რომლებიც შედიან როგორც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში, ისე თავისუფალ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციაში და ქრისტიანთა პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციაში, შეუძლიათ შეთანხმდნენ მოქმედების ერთიანობაზე მთლიანად გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განთავისუფლებული სახსრების გამოყენებისათვის მშრომელთა ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად.

გრიშინმა მხარი დაუჭირა ლუი საიანის წინადადებას, რომ გენერალური საბჭოს სესიამ მიიღოს რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს სხვადასხვა მიმართულების პროფკავშირებს ერთობლივად გამოვიდნენ ატომური და თერმოატომგულის იარაღის წარმოების, გამოცდისა და გამოყენების აკრძალვისათვის, შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ბიუჯეტების შემცირებისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტის შედეგად განთავისუფლებული სახსრების გამოყენებისათვის მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით.

საბჭოთა წარმომადგენელმა შემდეგ აღნიშნა, რომ არის აგრეთვე სხვა საერთო პრობლემები, რომლებიც აღელვებენ ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მშრომელებს. ეს პრობლემებია დასაქმების, სამუშაო დროის ხანგრძლივობის შემცირების, შრომის დაცვისა და სოციალური დაზღვევის გაუმჯობესების, ხელფასის გადიდების საკითხები, დასასრულ, წარმოების ავტომატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები.

გრიშინმა შემდეგ აღნიშნა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ წარმატებით რომ შეასრულოს მის წინაშე დასახული ამოცანები, საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობა.

დასასრულ გრიშინმა რწმენა გამოთქვა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს VIII სესიის დიდი მნიშვნელობა ექნება თავიანთი ინტერესებისათვის მშრომელთა ბრძოლის შემდგომ გაძლიერებაში, საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობის გამაგრებაში. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული საბჭოთა პროფკავშირები მიესალმებიან და მხარს უჭერენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ყველა ღონისძიებას, რომელთა მიზანია მშრომელთა ერთიანობა.

სოფია, 28 სექტემბერი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს VIII სესიის დღეკამდელ დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარის ამდენი დიალოს მოხსენება დღის წესრიგის მეორე პუნქტზე: „პროფკავშირული მოძრაობა ქვეყნებში, რომლებსაც მოიპოვეს დამოუკიდებლობა ან იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის, და მშრომელთა ძმური სოლიდარობა კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია ანტიკოლონიური მოძრაობის მძლავრი აღმავლობა. ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობისა და კოლონიური სისტემის დაშლის პირობებში სულ უფრო იზრდება მშრომელთა ფართო მასების აქტივობა და მუშათა კლასის წამყვანი როლი, პროფკავშირთა ავტორიტეტი და მნიშვნელობა.

ა. დიალო შემდეგ დაწვრილებით შეეხო პროფკავშირული მოძრაობის განვითარებას აფრიკის, ახლო და შუა აღმოსავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ხაზგასმით აღნიშნა მისი დიდი გაქანება და წარმატება მშრომელთა სასიცოცხლო უფლებებისათვის, პროფკავშირული ერთიანობისათვის ბრძოლაში.

მომხსენებელმა შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამედროვე პროფკავშირული მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ყველა ქვეყნის მშრომელთა სოლიდარობა კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეორე დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია ამჟამად ერთიანობისა და სოლიდარობის განმტკიცება იმ ქვეყნების პროფკავშირებს შორის, რომლებმაც ამს წინათ მოიპოვეს დამოუკიდებლობა და იბრძვიან მისი მიღწევისათვის.

მომხსენებელი შეეხო პროფკავშირების პოლიტიკასა და დამოკიდებულებას ეროვნული ბურჟუაზიისადმი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მსვლელობაში, პროფკავშირული მოძრაობის ფორმებსა და მეთოდებს, აგრეთვე ყველა ქვეყნის პროფკავშირთა ერთიანობის უზრუნველყოფის საკითხს. თუმცა თვითეული ქვეყნის პროფკავშირული მოძრაობა, თქვა დიალომ, განვითარების საკუთარი გზით და მისთვის დამახასიათებელ ვითარებაში მიმდინარეობს, მაგრამ მუშათა კლასის ინტერნაციონალიზმი მოითხოვს სოლიდარობის განვითარებას, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ეროვნული პროფკავშირული მოძრაობის აღმავლობას. პროფკავშირთა სოლიდარობა შეიძლება განვითარდეს და განმტკიცდეს როგორც მეტროპოლიების, ისე იმ ქვეყნების მშრომელთა საერთო მიზნებისათვის ბრძოლაში, რომლებიც განთავისუფლდნენ ან თავისუფლდებიან კოლონიალიზმისაგან. ეს საერთო მიზნებია ბრძოლა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის, შრომის ინტენსიფიკაციის წინააღმდეგ, ხელფასის გადიდებისათვის, სოციალური დაზღვევის სისტემის შემოღებისა და გაუმჯობესებისათვის, პროფკავშირულ უფლებათა დაცვისათვის.

ფეხბურთი

საერთაშორისო შეხვედრები

ოსლო, 29 სექტემბერი. — ეუბან ამ სტალინის „მანტიორიოლ“ გუნდმა ჩაატარა პირველი შეხვედრა. საბჭოთა სპორტსმენების წინააღმდეგ თამაშობდა გუნდი, რომელიც შედგენილი იყო ოსლოს ორი კლუბის — „ფრიგრი“ და „ბიფის“ ფეხბურთელებისაგან. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვა ნორვეგიის გუნდმა.

კრაკოვი, 30 სექტემბერი. აქ გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ პოლონეთის „გვარდიაცისლას“ და მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდები. მატჩი მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 5:2.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

სვერდლოვსკი, 29 სექტემბერი. გრძელდება შეჯიბრება ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე „ა“ კლასის გუნდებს შორის. მორიგ კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი ოფიცერთა სოლოქო სახლისა და კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდები. თამაში დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1:1.

ლენინგრადი, 30 სექტემბერი. კიროვის სახელობის სტადიონზე ადგილობრივი „ზენიტის“ გუნდმა მიიღო საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის ფეხბურთელები. გაიმარჯვეს არმიელმა სპორტსმენებმა ანგარიშით 5:2.

„ბ“ კლასი

ვორონეჟი, 30 სექტემბერი. აქ გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასის გუნდებს შორის. თამაშობდნენ ქალაქ ვორონეჟისა და თბილისის ოფიცერთა სოლოქო სახლის გუნდები. შეხვედრა დამთავრდა ფრედ ანგარიშით 2:2.

კუიბიშევი, 30 სექტემბერი. ადგილობრივი „კრილია სოვეტოვისა“ და ერევნის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1:1.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გეგეჭკორის რაიონის ცენტრი სოფელი გეგეჭკორი გარდაიქმნა დაბად.

შემდგომში, გეგეჭკორის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს არჩევნებამდე, გეგეჭკორის სადაბო საბჭოს დაევალა სადაბო საბჭოს მოვალეობის აღსრულება.

გეგეჭკორის სადაბო საბჭოში შეტანილია დაბა გეგეჭკორი და სოფლები: საელავო, ნალეფსავო, ქვაითი და ნახარეული.

• • •

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება მცხეთის რაიონის დაბა მცხეთის რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ.

შემდგომში, მცხეთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნებამდე, მცხეთის სადაბო საბჭოს დაევალა საქალაქო საბჭოს მოვალეობის აღსრულება.

• • •

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დამტკიცდა მცხეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1956 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება და გაუქმდა მცხეთის რაიონის ნიჩბისის სასოფლო საბჭოს სოფლები ნატბეური და ზეუბანი ამ სოფლებიდან მოსახლეობის გეგმიანი წესით გარდაბნის რაიონში გადასახლების გამო.

• • •

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაწესდა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატისა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლების სპატიო წოდებები საწარმოო სწავლების ოსტატებს, შრომითი რეზერვების სასწავლებლებისა და სკოლების მასწავლებლებისა და საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს ინსპექტორებისათვის.

დამტკიცდა დებულება საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატისა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის სპატიო წოდებათა შესახებ.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

საქართველოს რადიოს ზადაცემათა პროგრამა 3 ოქტომბრისათვის

პირველი პროგრამით

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით

06.30 — საბალეტო მუსიკის კონცერტი, 12.15 — პიესები გიტარისათვის ივანოვ-კრამსკოის შესრულებით, 12.45— აფხაზური სიმღერები, 17.20 — აზერბაიჯანული მუსიკის კონცერტი, 18.15 — ქართველ კომ